

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი № 10

ქ.თელავი

20. 08. 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე ნანა ხვისტანი
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღალანიძე, მაია
მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია
გრიშიკაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა
ჩაფურიშვილი, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკირებისა და
სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ
პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების
შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების,
კლასიფიკირებისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის
დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, რომ
მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი სამართლებრივი
კონსულტაციის მიზნით უმჯობესია გაიგზავნოს საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაციაში.
კომისიის წევრები დაეთანხმნენ კომისიის თავმჯდომარის წინადადებას.

გადაწყვიტეს: გაგზავნილ იქნას თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის
გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის
შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ პროექტი, სამართლებრივი
კონსულტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში
ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის
/ მეთხუთმეტე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე 4 და მე-8 პუნქტები,
ვინაიდან ამ პუნქტებში გამოყენებულია სამართლებრივი ტერმინი
„ანალოგიურად“.

ამ პუნქტებით დასარეგულირებელი საკითხები წესრიგდება
საჯარო სამსახურის შესახებ კანონით და ანალოგიის გამოყენება
დაუშვებელია.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის
მეთხუთმეტე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-4 და მე-8 პუნქტები.

კომისიის თავმჯდომარე:

ნანა ხვისტანი